ხელშეკრულება N04

DAISY *e.* XPERT საკონტროლო სალარო აპარატის რეგისტრირებული მისამართის ცვლილების შესახებ

ქ.ბათუმი 09 იანვარი 2018 წ.

ერთი მხრივ, შპს **"ჯორჯიან სერვის ნეთვორკი"** ს/კ: 406049823 (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი ბათუმის სერვის ცენტრის ოფის მენეჯერის **სოფიო შამანაძის** სახით და მეორე მხრივ, ააიპ "ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო" ს/კ 445475405 (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის **ალექსანდრე თევზაძის** სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. GPRS საკონტროლო სალარო აპარატის (მოდელი: daizy e.Expert, DY00026111) რეგისტრირებული მისამართის, ქ. ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის №2 შეცვლა და ახალ მისამართზე რეგისტრაცია (შემდგომში - „შესყიდვის ობიექტი").

1.1.1. „04" იანვარი, ქ.ბათუმი, მელიქიშვილის №6

1.2 შესყიდვის ობიექტის CPV კოდი - CPV 50311000 - საოფისე სააღრიცხვო მანქანების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება.

2. სახელშეკრულებო ღირებულება და ანგარიშსწორება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სალარო აპარატის მისამართზე რეგისტრაციის შეცვლის ერთეულის ღირებულებაა **29.00** (ოცდაცხრა) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **29** (ოცდაცხრა) **ლარს.**

2.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესახებ მხარეებს შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის შესაბამისად არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარება

3.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია სააგენტოს მთავარი მოლარე იამზე ალანია პ/ნ 61001040615

4. მომსახურების გაწევის ადგილი

4.1. მომსახურების განხორციელება განხორციელდება მიმწოდებლის სერვისცენტრში: ქ. ბათუმი, გორგასლის №136/138

5. შემსყიდველის ძირითადი უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
5.2. შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

6. მიმწოდებლის ძირითადი უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:
6.1.1. მოითხოვოს შემსყიდველისაგან მომსახურების ღირებულების დროული გადახდა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.
6.2. მიმწოდებელი ვალდებულია:
6.2.1. დროულად გაუწიოს მომსახურება შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით;
6.2.2. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 შემსყიდველი ვალდებულია სრულად ან დროულად აუნაზღაუროს მიმწოდებელს, მომსახურების ღირებულება (ხელშეკრულების პირობების შესაბამისად).

7.2 ფორს-მაჟორულ გარემოებად არ ჩაითვლება ისეთი მოვლენები, რომელთა მოსალოდნელი დადგომის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი მხარისთვის, წინასწარ ცნობილი იყო და/ან წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9. დავების გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი

უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10. მხარეთა ხელმოწერები:

მიმწოდებელი:	**შემსყიდველი:**
შპს "ჯორჯიან სერვის ნეთვორკი" ს/კ: 406049823 **(032) 2 500 111** **http://gsn.com.ge** ს.ს. „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE52LB0113144021146000 ელ. ფოსტა info@gsn.com ---------- წარმომადგენელი: სოფიო შამანაძე	ააიპ "ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო" საიდენტიფიკაციოკოდი: 445475405 მისამართი:ქ. ბათუმი, ლუკაასათიანის 25. ტელეფონი: 577722229 **სახელმწიფო ხაზინა:** **სახაზინო კოდი: 749679921** დირექტორი: ალექსანდრე თევზაძე